ნუგზარ სარია
DOI: https://doi.org/10.52340/zssu.2022.14.12

თავისუფლების უფლებების გაგებისათვის

აბსტრაქტი: კაცობრიობა საუკუნეები იბრძოდა ძირითადი უფლებების დასამკვიდრებლად. თავისუფლება ბრძოლით იქნა მოპოვებული. მაგრამ როგორ გვესმის თავისუფლება და როგორ ვიყენებთ მას? თავისუფლებასთან დაკავშირებით ჩვენ მთელი სიმძიმე გადაგვაქვს სახელმწიფოზე და სამართლიანად ვითხოვთ, რომ სახელმწიფომ უკანონოდ არ შეზღუდოს ჩვენი უფლებები. ამ დროს შეიძლება მხედველობის მიღმა დარჩეს მესამე პირთა უფლებები. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ თავისუფლების უფლებების მოქმედება მოქალაქეთა შორის ურთიერთობებში. ეს ასპექტი ძირითადი უფლებებისა ნაკლებად არის შესწავლილი, ვინაიდან თავისუფლებას მიიჩნევენ მხოლოდ სახელმწიფოს შემზღუდავ საშუალებად.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუციონალიზმი, თავისუფლების უფლებები, უფლების შეზღუდვა, შიდაკონსტიტუციური ზღვარი, მესამე პირი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

Nugzar Saria

To Understand the Rights of Liberty

Abstract: *Humanity has struggled for centuries to establish fundamental rights. Freedom was won in struggle. But how do we understand freedom and how do we use it? We place the entire burden on the state regarding freedom and fairly demand that the state does not restrict our rights unlawfully. Meanwhile, the rights of third parties may remain out of sight. The article's goal is to show how the rights of freedom act in relations between citizens. This aspect of fundamental rights is less studied, since freedom is seen only as a restrictive means of the state.*

Keywords: *constitutionalism, Rights of freedom, Restriction of the right, Internal constitutional limit, third party, Criminal liability.*

კონსტიტუციური წესწყობილება დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველია, რომლის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე მსოფლიო. კონსტიტუციური წესწყობილების უმთავრესი საკითხი კი ადამიანის ძირითადი უფლებებია. საქართველოს კონსტიტუცის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნებაა უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი. ხოლო მე-4 მუხლის მეორე პუნქტით „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“. მაშასადამე, კონსტიტუციით აღიარებულია ძირითადი უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, ანუ „ობიექტური სამართალი“. „ეს ნიშნავს,რომ ადამიანს უფლება აქვს უშუალოდ, პირდაპირ გამოიყენოს ძირითადი უფლებები თავისი ინტერესების დასაცავად, ყოველგვარი დამატებითი საკანონმდებლო ან სხვა ნორმატიული აქტების ნორმათა სავალდებულო მოხმობის გარეშე“ /ავტორთა კოლექტივი, 2005, 87 /.

კონსტიტუციონალიზმი, როგორც პოლიტიკურ–სამართლებრივ მოძღვრება, აყალიბებს სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, ფორმირებისა და ფუნქციონირების ხერხებისა და მეთოდების გარკვეულ მოთხოვნებს, რომელთა შორის მთავარია წონასწორობის შენარჩუნება ხელისუფლებასა და თავისუფლებას შორის, „რამეთუ თავისუფლება მყარი, ქმედითუნარიანი სახელმწიფოებრიობის გარეშე ანარქიაში გადაიზრდება, ხოლო სახელმწიფო, რომელიც უარყოფს, უგულვებელყოფს, ხელყოფს მოქალაქეთა თავისუფლებას, გარდაიქმნება ანტიდემოკრატიულ, ტოტალიტარულ სახელმწიფოდ“ /ავტორთა კოლექტივი, 2005, 17/.

კაცობრიობა საუკუნეები იბრძოდა ძირითადი უფლებების დასამკვიდრებლად. თავისუფლება ბრძოლით იქნა მოპოვებული. მაგრამ როგორ გვესმის თავისუფლება და როგორ ვიყენებთ მას. ჩვეულებრივად, როცა თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს ადამიანის ცხოვრების თავისუფალი სფეროები, რომელშიც სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს. ეს თავისუფლების უფლებებია, რომლითაც იზღუდება სახელმწიფო. მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს დაცულ სფეროში. ძირითადი უფლებების შეზღუდვა კონსტიტუციით არის გათვალისწინებული.

თავისუფლებასთან დაკავშირებით ჩვენ მთელი სიმძიმე გადაგვაქვს სახელმწიფოზე და სამართლიანად ვითხოვთ, რომ სახელმწიფომ უკანონოდ არ შეზღუდოს ჩვენი უფლებები. ამ დროს შეიძლება მხედველობის მიღმა დარჩეს მესამე პირთა უფლებები. შესაბამისად, არა მარტო სახელმწიფო, არამედ მოქალაქეც ვალდებულია არ შეზღუდოს თავისუფლების უფლებები. სწორედ ეს პრინციპი გამომდინარეობს კონსტიტუციის მეოთხე მუხლის მეორე პუნქტიდან, რომ ძირითადი უფლებებით და თავისუფლებებით შეზღუდულია არა მარტო სახელმწიფო, არამედ ხალხიც. აღნიშნული გარემოება სახელმწიფოს ავალდებულებს „კანონების საშუალებით უზრუნველყოს, რომ მესამე პირიც პატივს სცემდეს თავისუფლების უფლებებს, რომლებსაც მიეკუთვნება: ადამიანის ღირსება, სიცოცხლის უფლება, ფიზიკური ხელშეუვალობის უფლება, გადაადგილების თავისუფლება, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის, ინფორმაციის, აზრისა და პრესის, შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებები და ა.შ.“ /ავტორთა კოლექტივი 2005: 89 /.

მართალია ძირითადი უფლებები და თავისუფლებები მოქმედებს უპირველესად ადამიანებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის იგნორირებას მოქალაქეთა შორის ურთიერთობებში, სადაც მას არაპირდაპირი მოქმედების ძალა გააჩნია. ძირითადი უფლებები დაცული სფეროა არა მარტო სახელმწიფოს მხრიდან, არამედ მოქალაქეების მხრიდანაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნება ისეთი წესწყობილება, სადაც თითქოს სახელმწიფო არ ზღუდავს თავისუფლებას და არ ერევა დაცულ სფეროში, მაგრამ მოქალაქეები ხელყოფენ სხვათა უფლებებს თავიანთი თავისუფლების საბაბით. მივიღებთ თავისუფლებას თავისუფლების წინააღმდეგ. ეს კი ანარქიაა, რაც ნიშნავს ქმედითუუნარო სახელმწიფოს. თავისუფლებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა მესამე პირთა თავისუფლებაც დაცულია. ეს კი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ თავისუფლების უფლებების მოქმედება მოქალაქეთა შორის ურთიერთობებში. ეს ასპექტი ძირითადი უფლებებისა ნაკლებად არის შესწავლილი, ვინაიდან თავისუფლებას მიიჩნევენ მხოლოდ სახელმწიფოს შემზღუდავ საშუალებად. ამ თვალსაზრისით შევეხებით კონსტიტუციური ნორმების მიმართებას საქართველოს კანონმდებლობასთან ძირითადი უფლებების ჭრილში.

კონსტიტუციის მეორე თავი მთლიანად დათმობილი აქვს ადამიანის ძირითად უფლებებს. /საქართველოს კონსტიტუცია, მეორე თავი/. ესენია: ადამიანის ღირსების

ხელშეუვალობა, სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები, თანასწორობის უფლება, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ადამიანის თავისუფლება, მიმოსვლის თავისუფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები, აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები, სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები, საკუთრების უფლება, შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა, შეკრების თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება, პოლიტიკური პარტიების თავისუფლება, საარჩევნო უფლება, საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება, შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება, განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, გარემოს დაცვის უფლება, ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები, საპროცესო უფლებები.

კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება. ცალკეულ მუხლებში მითიებულია კონკრეტული უფლებების შეზღუდვის შესახებ. მაგრამ ზოგიერთი ძირითადი უფლებისათვის ასეთი ზღვარი არ არის დადგენილი, რის გამოც ისინი აბსოლუტურ ძირითად უფლებად გვეჩვენება. მაგალითად, კონსტიტუციის მე-12 მუხლის საფუძველზე ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. „ეს მაგალითი წარმოაჩენს ძირითად უფლებას, რომელიც თავდაპირველად სრულიად შეუზღუდავ, ე.წ. აბსოლუტურ ძირითად უფლებად გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში მის მიმართაც მოქმედებს გარკვეული ზღვარი-ე.წ. შიდაკონსტიტუციური ზღვარი. ასეთი შეიძლება იყოს მესამე პირთა ძირითადი უფლებები ან სხვა უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური სიკეთეები.“ /ავტორთა კოლექტივი 2005: 94 /.

სწორედ შიდაკონსტიტუციური ზღვარია დადგენილი კონსტიტუციის 34-ე მუხლის მეორე პუნქტში, რომლის მიხედვით ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპია, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები. მაშასადამე, თავისუფლების საბაბით სხვათა თავისუფლების

დარღვევა დაუშვებელია, რა დროსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შესაბამისი პასუხისმგებლობა, რასაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

კონსტიტუციის მე-9 მუხლით აღიარებულია ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა, დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება. რა თქმა უნდა ეს თავისუფლების უფლებაა, რომელსაც იცავს სახელმწიფო. მაგრამ თუ ის ირღვევა მოქალაქეთა შორის ურთიერთობაში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მესამე პირთა ინტერესების დაცვა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლის შემადგენლობა, რომლის მიხედვით წამება ნიშნავს პირისათვის ან მესამე პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის. სსკ-ის 144[2] მუხლი ეხება წამების მუქარას. ხოლო სსკ-ის 144[3] მუხლი დანაშაულად აცხადებს დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას, რაც გულისხმობს პირის დამცირებას ან იძულებას, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს. აღნიშნული შემადგენლობები ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებებსაც. /საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი /. როგორც ვხედავთ, კონსტიტუციით აღიარებული თავისუფლება ადამიანის ღირსებისა არ უნდა შეიზღუდოს მოქალაქეთა მხრიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში თავისუფლების შეზღუდვა ისჯება სისხლის სამართლის წესით.

კონსტიტუციის მე-10 მუხლის მიხედვით ადამიანის სიცოცხლე და ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია. რაც მნიშვნელოვანი თავისუფლების უფლებაა. საქართველოს სსკ-ის მე-19-21 თავები მთლიანად დათმობილი აქვს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. მათი ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია და მოიცავს ყველა იმ ხელყოფას, რაც ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ იქნება მიმართული. მაგალითად, განზრახ მკვლელობის ძირითადი, მაკვალიფიცირებელი და პრივილეგიური შემადგენლობები; ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანება; ძალადობა, ანუ ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის

ფიზიკური ტკივილი გამოიწვია; ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა; ასევე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. მაშასადამე, sicocxlis ufleba, fizikuri xelSeuvalobis ufleba დაცულია კანონმდებლობით და მათი დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

აღნიშნული თავისუფლება აბსოლუტურ ძირითად უფლებად გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში მის მიმართაც მოქმედებს გარკვეული ზღვარი. მაგალითად, აუცილებელი მოგერიების დროს დასაშვებია თავმდასხმელის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა, ვინაიდან აუცილებელი მოგერიება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა და ასეთ ვითარებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობა ან ჯანმრთელობის დაზიანება წარმოადგენს მართლზომიერ ქმედებას.

კონსტიტუციის მე-11 მუხლით აღიარებულია თანასწორობის უფლება. სსკ-ის 142-ე მუხლის საფუძველზე, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის,დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის,სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

კონსტიტუციის მე-12 მუხლი ეხება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, რაც ასევე შეიძლება შეიზღუდოს, ვინაიდან მის მიმართ მოქმედებს Sidakonstituciuri zRvari. aseTi SeiZleba iyos mesame pirTa ZiriTadi uflebebi an sxva umniSvnelovanesi konstituciuri sikeTebi.

კონსტიტუციის მე-13 მუხლის საფუძველზე ადამიანის თავისუფლება დაცულია. თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის სსკ-ის 143-ე მუხლი აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ხოლო სსკ-ის 150-ე მუხლი ეხება იძულებას, რაც გულისხმობს ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ესე იგი მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებას, შეასრულოს ან არ შეასრულოს

მოქმედება, რომლის შესრულება ან რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს მიმოსვლის თავისუფლებას. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება. სსკ-ის 152-ე მუხლის საფუძველზე საქართველოში კანონიერად მყოფისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის ან საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქისათვის საქართველოში თავისუფლად შემოსვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, აღიარებულია დანაშაულად.

კონსტიტუციის მე-15 მუხლით ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება, პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. სსკ-ის 157-ე მუხლით დანაშაულია პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა,გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. სსკ-ის 157[1] მუხლით - პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა. სსკ-ის 158-ე მუხლით -კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემის ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების უნებართვო მოპოვება ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ შენახვა. სსკ-ის 159-ე მუხლით - პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ჩანაწერის ან ტელეგრაფით, კომპიუტერული სისტემით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების უკანონოდ მოპოვება, გახსნა, შინაარსის გაცნობა ან შენახვა. სსკ-ის 160-ე მუხლით - ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა, უკანონო ჩხრეკა ან სხვა ქმედება, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობას.

კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიხედვით ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. სსკ-ის 155-ე მუხლით დანაშაულია ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა. ხოლო სსკ-ის 156-ე მუხლით ადამიანის დევნა სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით იწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

კონსტიტუციის მე-17 მუხლით აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება. სსკ-ის 153-ე მუხლით დანაშაულია სიტყვის თავისუფლების ანდა ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. სსკ-ის 154-ე მუხლით დანაშაულია ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან. სსკ-ის 156-ე მუხლით დანაშაულია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

ასევე, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლების საკონსტიტუციო ნორმის ფარგლების დამდგენია პირადი არაქონებრივი უფლებები, რომელთა აბსოლუტური ხასიათი გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის შინაარსიდან. კერძოდ, pirs ufleba aqvs sasamarTlos meSveobiT, kanoniT dadgenili wesiT daicvas sakuTari pativi, Rirseba, piradi cxovrebis saidumloeba, piradi xelSeuxebloba an saqmiani reputacia Selaxvisagan. „mniSvnelovania, erTmaneTisgan gaimijnos araqonebrivi uflebebisa da gamoxatvis (sityvis, informaciis gavrcelebis) Tavisuflebis farglebi. araqonebrivi uflebis dacvis sakiTxi gamoxatvis Tavisuflebis zRvarze gadis. marTalia, gamoxatvis Tavisufleba, aseve, sakonstitucio uflebaa, Tumca e.w. „dasaSvebi kritikis“ farglebis ararsebobis SemTxvevaSi, Tanazomierebis principis arsidan gamomdinare, maTi SezRudva SesaZlebelia maSin, rodesac kritika dasaSveb zRvars gadascdeba da Seuracxyofa (ciliswameba) pirvel planze iqneba wamoweuli”. /ავტორთა კოლექტივი, 2017, 106 /. მაშასადამე, პირადი

არაქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით შესაძლებელია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

ასევე, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება კონფლიქტში აღმოჩნდეს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასთან. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვნის ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ვინაიდან საქვეყნოობა დააზარალებდა მართლმსაჯულების ინტერესს.

„ამ ფაქტორის შესახებ განსაკუთრებით იქნა ხაზგასმული იმ საქმეებში, სადაც სასამართლო განხილვა ქუჩის დემონსტრაციების ფონზე მიმდინარეობდა. მედიის ზეგავლენა რეალურ საფრთხეს უქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. ასეთ დროს შეიძლება წარმოიქმნას კონფლიქტი კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრულ უფლებებსა და მე-10 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებას შორის. ცხადია, რომ მე-6 მუხლს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, როდესაც საფრთხის ქვეშ დგება უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება“ /შტ. ტრექსელი, 2009. 78 /.

„სიტყვისა და გამოხატვრის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. ხოლო მე-14 მუხლის შესაბამისად პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად

მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. მე-17 მუხლით თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

კონსტიტუციის მე-20 მუხლით შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია. მაგრამ თუ ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვათა უფლებებს, შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. სსკ-ის 189-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფისათვის. ხოლო სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფა გათვალისწინებულია სსკ-ის 189[1] მუხლში.

კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულია შეკრების თავისუფლება. სსკ-ის 161-ე მუხლით დანაშაულია შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

კონსტისტუციის 22-ე მუხლით გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია. სსკ-ის 166-ე მუხლით პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, იწვევს პასუხისმგებლობას.

კონსტიტუციის 23-ე მუხლით პოლიტიკური პარტიების თავისუფლება დაცულია. სსკ-ის 166-ე მუხლით პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, იწვევს პასუხისმგებლობას.

კონსტიტუციის 24-ე მუხლით საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა. სსკ-ის 162-ე მუხლით არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა დანაშაულია. სსკ-ის 164-ე მუხლით არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილის ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას. ხოლო სსკ-ის 164[1] მუხლით გათვალისწინებულია ამომრჩევლის მოსყიდვა.

კონსტიტუციის 26-ე მუხლით აღიარებულია შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება. სსკ-ის 168-ე მუხლით დანაშაულია შრომის თავისუფლების ხელყოფა, ესე იგი ნებისმიერი სახის კანონიერ შრომით საქმიანობაში ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით. სსკ-ის 169-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის, ხოლო სსკ-ის 170-ე მუხლით - შრომის დაცვის წესის დარღვევისათვის. სსკ-ის 166-ე მუხლით დანაშაულია საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. სსკ-ის 165-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გაფიცვის უფლების ხელყოფისათვის. სსკ-ის 190-ე მუხლით დანაშაულია დაუსაბუთებლად უარის თქმა საწარმოს რეგისტრაციაზე, ნებართვის ან ლიცენზიის გაცემაზე, ანდა მისი ეკონომიკური საქმიანობის უფლების ან თავისუფლების შეზღუდვა, საწარმოს საქმიანობაზე კონტროლის საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით განხორციელება, აგრეთვე მის საქმიანობაში ჩარევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

კონსტიტუციის 27-ე მუხლით აღიარებულია განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება. სსკ-ის 192[1] მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას უკანონო საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

ჩვენ მოკლედ შევეხეთ პასუხისმგებლობის შემთხვევებს მოქალაქეთა მხრიდან თავისუფლების უფლებების დარღვევისას. როგორც აღმოჩნდა, სახელმწიფო ხშირ შემთხვევებში სამართლის ყველაზე რეპრესიული დარგის - სისხლის სამართლის მეშვეობით იცავს მოქალაქეთა მხრიდან ძირითადი უფლებების ხელყოფას და საკუთარი თავისუფლების ხარჯზე სხვისი თავისუფლების ხელყოფას სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად

აცხადებს. ხოლო თუ ცალკეულ შემთხვევებში პირდაპირი პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული, მოქმედებს შიდა კონსტიტუციური ზღვარი, ანუ მესამე პირთა თავისუფლებები ან სხვა კონსტიტუციური სიკეთეები. შესაბამისად, მესამე პირთა თავისუფლების ხელყოფისას ქმედითუნარიანი სახელმწიფო ვალდებულია იმოქმედოს კონსტიტუციისა და კანონების საფუძველზე და დაიცვას მათი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები.

ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპი, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები, მხოლოდ ჩვენი კონსტიტუციით არის აღიარებული, თუ საერთაშორისო ნორმებით განმტკიცებული პრინციპია? ამ თვალსაზრისით შევეხოთ ცალკეულ საერთაშორისო აქტებს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 28-ე მუხლში მითითებულია, რომ ყველას აქვს უფლება ისეთ სოციალურ და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებში შესაძლებელია დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა სრული განხორციელება. ხოლო 29-ე მუხლში ხაზგასმულია, რომ ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება. უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას შეზღუდვის ქვეშ მოიაზრება ის საზღვრები, რომლებიც აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში. დაუშვებელია, რომ ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს. უფრო მეტიც, 30-ე მუხლით გარანტირებულია, რომ დეკლარაციაში არაფერი შეიძლება განიმარტოს, როგორც რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალკეული პირებისათვის უფლების მინიჭება, რაც მათი საქმიანობის ან გარკვეული ქმედებების შედეგად გამოიწვევს დეკლარაციით გარანტირებულ უფლებათა და თავისუფლებათა მოსპობას. მაშასადამე დემოკრატიულ საზოგადოებაში ყოველი ადამიანი ვალდებულია თავისუფლების უფლებების განხორციელებისას უზრუნველყოს სხვათა უფლებების ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა, რომ დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლი ეხება გამოხატვის თავისუფლებას და იქვე განმარტებულია, რომ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად. ხოლო მე-17 მუხლი ეხება უფლებათა ბოროტი გამოყენების აკრძალვას და მითითებულია, რომ კონვენციაში არაფერი შეიძლება განიმარტოს ისე, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, მონაწილეობდეს რაიმე საქმიანობაში ან განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს, არარად აქციოს კონვენციით განსაზღვრული რომელიმე უფლება თუ თავისუფლება ან შეზღუდოს ის იმაზე მეტად, ვიდრე ეს კონვენციით არის გათვალისწინებული. მაშასადამე, თავისუფლების უფლებების ბოროტად გამოყენება აკრძალულია.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-5 მუხლით უზრუნველყოფილია, რომ პაქტში არაფერი უნდა განიმარტოს, იმგვარად, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, ეწეოდეს საქმიანობას ან ჩაიდინოს რაიმე მოქმედება, რომლებიც მიმართულია პაქტით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების მოსპობის ან უფრო მეტი მოცულობითი შეზღუდვისაკენ, ვიდრე ეს კონვენციით არის გათვალისწინებული. ხოლო მე-19 მუხლში მითითებულია, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით ან პრესის და გამოხატვის მხატვრული საშუალებებით ან საკუთარი არჩევანით სხვა საშუალებებით. მაგრამ იქვე განმარტებულია, რომ ამ უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობასა და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. ამიტომ, იგი შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია:

ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად;

ბ) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად.

მაშასადამე, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, თავისუფლების უფლებების განხორციელება გულისხმობს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რომ თავისუფლების რეალიზებით არ მოხდეს მესამე პირთა თავისუფლების ხელყოფა, უფლებების ბოროტად გამოყენება, ძირითადი უფლებების იგნორირება. კანტი თავისუფლებას და პასუხისმგებლობას ერთად მოიხსენიებს, ამბობს, „შეგვიძლია ვიყოთ თავისუფალნი, ანუ პასუხისმგებელნი“. /მ. მამარდაშვილი, 1982 /. თავისუფლება ეფუძნება სინდისს და პასუხისმგებლობას და მისი სფეციფიკური მიზეზი ნებისყოფის თავისუფლებაა, ანუ მორალური თავისუფლება. მორალური კანონი ნებისყოფის მოტივია, მოტივის შინაარსი კი ზნეობის კანონია. ზნეობის კანონს ნებისყოფა ადგენს, როგორც თვითკანონმდებელი, ანუ თავისუფალი, რომელიც ამავე კანონითაა განსაზღვრული. გამოთქმულია საპირისპირო მოსაზრება, რომ „თავისუფალი ინდივიდი მხოლოდ ბიოქიმიური ალგორითმების ერთობლიობის მიერ შეთხზული ფიქციაა“. /იუვალ ნოახ ჰარარი, 2021, 375 /. მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ თავისუფლების უფლებებზე. შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში ყოველი ადამიანი ვალდებულია თავისუფლების უფლებების განხორციელებისას უზრუნველყოს სხვათა უფლებების ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა, რომ დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები. ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპი, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები, აღიარებულია როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული კანონმდებლობით.

ლიტერატურა:

ავტორთა კოლექტივი, *კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო,* თბილისი, 2005 წ.

ავტორთა კოლექტივი, *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები,* თბილისი, 2017 წ.

შტ. ტრექსელი, *ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში,* თბილისი, 2009 წ.

მ. მამარდაშვილი, *კანტიანური ვარიაციები, ლექცია* I (თარგმნილია 1982 წელს მოსკოვის ზოგადი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ინსტიტუტში წაკითხული ლექციების წიგნად გამოცემული კრებულის ელექტრონული ვერსიიდან).

იუვალ ნოახ ჰარარი, *ჰომო დეუსი.* თბილისი, 2021 წ.

საქართველოს კონსტიტუცია, მეორე თავი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი.